მიწაზე კერძო საკუთრება (თეორია, პრაქტიკა, პერსპექტივა)

გიული ძიძიგური
სტუ-ს ასოც. პროფესორი

კერძო საკუთრება არის ადამიანის თავისუფლების ეკონომიკური გარანტი – ესაა ლიბერალური იდეოლოგიის ამოსავალი პოსტულატი. მხოლოდ სახელმწიფოს ან სხვა უმსხვილეს მესაკუთრეთა იმედად დარჩენილი მოქალაქე საკუთარ ქმედებებში თავისუფალი ვერ იქნება. სწორედ ამიტომ სამოქალაქო საზოგადოების ხელხემალს წვრილ და საშუალო მესაკუთრეთა მრავალრიცხოვანი ფენა წარმოადგენს. შესაბამისად, მიწის რეფორმის თავდაპირველი და ძირითადი მიზანი იყო ყოფილი კოლმეურნეები მესაკუთრე გლეხებად (ფერმერებად) ექციათ და არა ბოგანოებად თუ ბატრაკებად.

მივიღეთ შებრუნებული ვარიანტი – პრივატიზებულმა მიწამ გლეხობა ვერ დაიმაგრა. მისი ერთი ნაწილი ქალაქს მიაწყდა. უმრავლესობა უცხოეთში გაიხიზნა. რა მოხდა, შეგვეშალა რამე თუ შეიცვალა რამე? მოხდა ის, რომ მივაგენით მიწის პრივატიზების ყველაზე თანამედროვე, მოდერნისტულ ვარიანტს. კერძო საკუთრება თავისუფალია, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ რაიმე ფორმით მისი საკანონმდებლო შეზღუდვა, პირიქით, კანონმდებლობიდან უნდა ამოვიღოთ ყველაფერი, რაც აფერხებს მესაკუთრის ამ წმიდათაწმინდა უფლების რეალიზებას.

ითქვა და გაკეთდა – მიწის კანონმდებლობა ამ მხრივ უკვე მთლიანად სტერილურია.

საკუთრების თავისუფლების უტრირება საკუთრების ზოგადი იურიდიული განმარტებიდან იღებს სათავეს. იურიდიული აზრით, საკუთრების უფლება სხვა არაფერია თუ არა მესაკუთრის ნივთთან ურთიერთობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის მესაკუთრის უფლება ნივთს ისე მოექცეს, როგორც სურს. აღნიშნული უფლება შედარებით სრულად სანივთო სამართალში ვლინდება. იციან ეს ჩვენმა რეფორმატორებმა. ამიტომაც იყო მიწა სანივთო სამართალში რომ გამოამწყვდიეს. არადა მათ ისიც იციან (არ შეიძლება არ იცოდნენ!), რომ მიწა ის უცნაური ნივთია, რომელიც ვერაფრით თავსდება სანივთო სამართლის პროკრუსტეს სარეცელზე. უცოდინარობის სიმულაცია მიმდინარე ეკონომიკურმა პოლიტიკამ მოითხოვა.

სინამდვილეში რამდენად აბსოლუტურია მესაკუთრის უფლება, საკუთრებას ისე მოექცეს როგორც სურს?

ჯერ ერთი, თვით სანივთო სამართალიც აწესებს გარკვეულ შეზღუდვებს, როცა საქმე განსაკუთრებულ ნივთს ეხება. მაგალითად: მესკუთრეს არ აქვს უფლება გაასხვისოს ნივთი საზღვარგარეთ თუ იგი იმავდროულად საყოველთაოდ აღიარებულ ეროვნულ განძს წარმოადგენს. რაც შეეხება **<u>მიწის</u>** მესაკუთრის იურიდიულ უფლებებს, დასაბამიდან დღემდე იგი არასდროს არ ემთხვეოდა რეალურს. საზოგადო ინტერესებიდან გამომდინარე, მესაკუთრის გონივრული შეზღუდვა დღესაც ფართოდაა დამკვიდრებული მსოფლიო პრაქტიკაში.

დასავლეთში, კერძო მესაკუთრის ფუნდამენტურ უფლებას, განკარგოს მიწა, არავინ უარყოფს, მაგრამ ასევე არ უარყოფენ გასხვისების უფლების შეზღუდვის აუცილებლობას. ზოგან ეს შეზღუდვები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ვერაფრით ვერ ჯდება თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების კონტექსტში. ნებისმიერი საზოგადოება, ნებისმიერი სახელმწიფო, ამ საკითხს უდგება საკუთარი ისტორიული გამოცდილების, ტრადიციების, ეროვნული და საზოგადოებრივი მიზანშეწონილობის მიხედვით. თუ საკუთრების კლასიკურ-იურიდიული გაგება წინააღმდეგობაში მოდის საზოგადო ინტერესებთან, უყოყმანოდ იწირება თეორია. ამ მხრივ დასავლური სახელმწიფოები არავითარ სიმორცხვეს არ ამჟღავნებენ ერთმანეთის მიმართ.

ნაპოლეონმა, რომელსაც რომაული სამართლის შემდეგ, ყველაზე დიდი წვლილი მიუძღვის საკუთრების აბსოლუტური უფლების დამკვიდრებაში, გამონაკლისი დაუშვა მხოლოდ და მხოლოდ მიწის მიმართ. კერძოდ, დასაშვებად მიიჩნია ამ „ნივთის“ ექსპროპრიაცია საზოგადოებრივი ინტერესების სასარგებლოდ.

მსგავსი მაგალითები უამრავია, მაგრამ მხოლოდ ჩვენი რეფორმატორებისათვის, არც ისე დიდი ხნის წინ, ყველაზე ავტორიტეტულ წყაროს დავიმოწმებთ:

„გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციურმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მიწის საკუთრება, განსხვავებით სხვა ქონები-

საგან, უფრო **„საყოველთაო ინტერესების“ სოციალურ-სამართლებრივ მოთხოვნებს უნდა დაექვემდებაროს, ვიდრე ბაზრის სტიქიას და ცალკეულ პირთა შეხედულებებს“[1].** (ხაზგასმა ჩვენია გ.ძ.)

„განსხვავებით სხვა უამრავი ქონებისაგან, მიწის ყიდვა-გაყიდვას, გაცვლას, ჩუქებას, არსებითი თავისებურებები აქვს. მათი მიზანი პირველ რიგში, **მიწების განიავებისა და სპეკულაციის, აგრეთვე უცხოთა მიერ მიწების ხელში ჩაგდების გამორიცხვა გახლავთ“[2]**(ხაზგასმა გ.ძ.)

დასკვნებსაც იმავე წყაროს დავესესხებით: „საჭიროა უკუვაგდოთ მიწის საკუთრების ვულგარული გაგება, რომელიც გაბატონებულია ჩვენში, თითქოს მიწის მესაკუთრეს აბსოლუტური უფლებები გააჩნია და რასაც მოისურვებს იმას უზამს საკუთრებაში არსებულ მიწას. . . ნურც ის შეგვაშინებს თუ საქართველოს ზოგ რეგიონში მიწის კერძო საკუთრება შეიზღუდება. ეს არ არის არავითარი **საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევა, რომელთა უსაფუძვლოდ ხშირ-ხშირად დამოწმება მეტად გავრცელდა“[3]** (ხაზგასმა გ.ძ.)

ეს გახლავთ მცირე ამონაკრები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ლ. ჭანტურიას საგაზეთო წერილიდან: საქართველოს რესპუბლიკა 14.09.1991 პუბლიკაციის თარიღს დავუკვირდეთ. კანონმდებელ ლ. ჭანტურიას მიწის „ქართულ“ კოდექსში მის მიერვე ფიქსირებული შეზღუდვების ნახევარიც რომ შეეტანა, სადისკუსიო ბევრი არაფერი დარჩებოდა. „გულმავიწყობა“ გასაგებია, უნივერსიტეტის კათედრაზე სხვაგვარად აზროვნებენ, ვიდრე მინისტრის სავარძელში.

როგორც ვხედავთ, ევროპული გამოცდილება სწორედ იმას გვასწავლის, რომ თითოეულმა ქვეყანამ უნდა შექმნას კერძო საკუთრების ფუნქციონირების ისეთი მექანიზმი, რომელიც მოცემულ ეტაპზე პასუხობს ამავე ქვეყნის პოლიტიკურ, ეროვნულ, ეკონომიკურ და სოციალურ ინტერესებს. ამას „ევროპაზე ორიენტირებული“ რეფორმატორების საყურადღებოდ ვამბობთ, შიშით რომ კანკალებენ, რაიმე აზიური არ გაგვეპაროს მიწის კოდექსშიო.

ნუთუ არ დადგა დრო, ჩვენივე ისტორიული გამოცდილების საფუძველზე ჩვენვე გავარკვიოთ, რას ითხოვს ქვეყნის ინტერესები და შესაბამისად ამის შემდეგ და ამის მიხედვით განვსაზღვროთ რეფორმის ძირითადი მიმართულება?!

არ დაგიმალავთ, მწარედ დამაფიქრა „ქართული ოცნების“ საკმაოდ ხანგრძლივმა დუმილმა. ჩვენ აზრით, ერთ მეტად საჭირბოროტო საკითხზე – მხედველობაში გვაქვს უცხოეთის იურიდიულ პირებსა თუ რიგით მოქალაქეებზე ქართული მიწა-წყლის გასხვისების მოქმედი კანონმდებლობა, რომელიც დღესაც (უფრო სწორად, დღეს უფრო) წარმატებით მოქმედებს. იმავეს თქმა შეიძლება უცხოელ იმიგრანტთა მიგრირების გამარტივებულ და გაიოლებულ პროცედურაზეც. აღნიშნული კანონები „ქართულმა ოცნებამ“ რატომღაც მეცხრე თაროზე შემოდო და, როგორც ჩანს, მათ რევიზიას ჯერჯერობით არ აპირებს, მაშინ როცა, ყბადაღებული პრეზერვატივები, ლამის ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან საყოველთაო დისკუსიის საგნად აქცია.

როგორც ჩანს, მთლად სწორად ვერ გავიგეთ 1 ოქტომბერს „ქართული ოცნებისათვის“ შეკვეთილი სამართლიანობის აღდგენის არსი. გულუბრყვილოდ გვეგონა, რომ სამართლიანობის აღდგენა, უწინარეს ყოვლისა, გულისხმობდა ქართველი ხალხისათვის საკუთარ მიწა-წყალზე მზაკვრულად წართმეული მრავალსაუკონოვანი უფლების აღდგენას.

ჩვენ არ ვიცით, რა ასაზრდოვებს ქართული საზოგადოების გულარხეინობას. ეს საყოველთაოდ მოარული „სიბრძნე“ ხომ არა? – „მიწას ზურგზე ვერავინ მოიკიდებს და ვერ წაიღებს“. არადა ამაზე „ობივატელური“, უმეცარი და ბრიყვული ე.წ. ფრთიანი ფრაზა, ძნელი წარმოსადგენია. ტერმინი „უძრავი ქონება“, დღეს იმდენად პირობითი გახდა, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში პირდაპირი მნიშვნელობით აღარავინ იყენებს. ნებისმიერი ქონება, მათ შორის მიწაც, მას შემდეგ, რაც საქონელი ხდება, მოძრავი ქონების ნიშნებს იძენს, ფეხს იდგამს, თავქუდმოგლეჯილი დარბის და დაეძებს ყველაზე მდიდარ პატრონს. საქონლის ეს თვისება ყოფითმა ლექსიკამ ინტუიციით დაიჭირა – „მიწები ამოძრავდა“, „მიწები ხელიდან ხელში გადავიდა“ და ა.შ. მიწის ეს უცნაური თვისება, ადგილიდან არ დაიძრას და იმავდროულად იმოძრავოს კიდეც, მსოფლიო ისტორიაში არაერთგზის დადასტურებული ფაქტია. ჩვენ მრავალთაგან მხოლოდ ორიოდე ტიპურ მაგალითს მოვიყვანთ.

იმპერატორის ხელმოწერილი ნასყიდობის სიგელით ალიასკამ ისე მარჯვედ ისკუპა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ამოჰყო თავი.

შეზარხოშებულმა საბჭოთა იმპერატორმა ნიკიტა ხრუშჩოვმა ყირიმი უკრაინას უფეშქაშა, რაც დღემდე ვერ მოუნელებია რუსეთს. ჩუქების ეს აქტი, მაშინ რუსეთშიც კი ფარსად აღიქმებოდა, შესაკრებთა გადანაცვლებით რუსეთის საბჭოთა იმპერია არაფერს კარგავდა.

გამოხდა ხანი – ისტორიისათვის წამი, იმპერია დაიშალა და ფარსი ფაქტად იქცა, თუმცა

სხვათა მაგალითები რად გვინდა. ჯერ აფხაზეთი და „სამხრეთ ოსეთი“, შემდეგ ახალგორი და კოდორის ხეობა რომ გზას გაუდგნენ, როდის დაბრუნდებიან ან საერთოდ დაბრუნდებიან თუ არა, მამაზეციერის გარდა თუ იცის ვინმემ?

საქართველოს ჯაჭვის პერანგი ვერ შემოვაქსოვეთ. სამაგიეროდ მცოცავი მავთულხლართები შემოგვავლეს და ბოლო არ უჩანს ამ მარათონულ ცოცვას. ახლა ვნახოთ, მავთულხლართებს აქეთ დარჩენილ ქართულ მიწა-წყალს ხო მარ ემუქრება რაიმე საფრთხე?

მიწას ზურგზე ვერავინ მოიკიდებს და ვერ წაიღებს! გვამშვიდებენ და გვამუნათებენ ყოვლის მცოდნე სუტლიბერალები.

მთა რომ ვერ მივა მუჰამედთან, ნუთუ ეს იმის გარანტიაა, რომ მუჰამედი ან არ, ან ვერ მივა მთასთან, მით უფრო როცა მუჰამედის შთამომავალ შეიხებს ჩვენ თვითონ ყელგამოწვდილნი ვეპატიჟებით. ნუთუ არ დადგა დრო, დავუფიქრდეთ მაინც, როგორ მოვეჭიდოთ ჩვენს მთას ისე, რომ აქედანაც კისრისტეხით არ მოგვისროლონ. არსებითად რა იცვლება იმით, უცხოელი იარაღის ძალით დაიპყრობს ჩვენს მამულს თუ ფულით იყიდის?.

პირველ შემთხვევაში თეორიული შანსი მაინც რჩება, რომ ძალით წართმეული ოდესმე ძალით დავიბრუნოთ, მაშინ როცა ნასყიდობის აქტით უცხოელი ჩვენი მიწის სრულიად კანონიერი და სამუდამო მესაკუთრე ხდება და ამიერიდან ვერასდროს ვერაფერში შეედავები. ახლა ისიც ვიკითხოთ, რა ჰქვია იმ ქვეყანას, სადაც მესაკუთრე უცხოელია, მოქალაქე კი საკუთრებას მოკლებული ხალხი. იმავდროულად კოლონიალიზმის არსშიც თუ გაგვარკვევდა ოპონენტი, მადლობელი დავრჩებოდით. ასევე რა მნიშვნელობა აქვს, მეფის რუსეთი ჩამოგვისახლებს კოლონისტებს ქვეყანაში თუ ფულზე გაწუწკებული ჩვენივე ხელისუფლება?

ვერ გაგვიგია, მას შემდეგ, რაც ჩვენი ქვეყანა სასხვისო გახდება, არ აქვს მნიშვნელობა ვინ იქნება ეს სხვა: ჩინელი, არაბი, თათარი თუ რუსი, როგორღა იქნება ეს ქვეყანა საჩვენო. ლიბერალები დიდ სამსახურს გაგვიწევენ ქვეყნის სახელწოდების („საქართველო“) ეტიმოლოგიასა და სემანტიკას თუ შეგვახსენებენ.

ვინმემ უტრირებასა და თავისუფალ ინტერპრეტაციაში რომ არ დაგვდოს ბრალი, მოვიხმობთ დოკუმენტურ მასალას.

კორესპონდენტის კითხვა: „უცხოელს ექნება მიწის შესყიდვის უფლება?“

რესპოდენტის პასუხი: „რა მნიშვნელობა აქვს ქართველს ექნება მიწა საკუთრებაში თუ უცხოელს? ვთქვათ და სამხრეთ აფრიკის მცხოვრები მოვიდა, ან ვინმე გერმანელი და მიწა იყიდა, რას იზამს, ზურგზე ხომ არ მოიკიდებს და აფრიკაში ხომ არ წაიღებს იმ მიწას? თუ ჩემს სოფელში – კოლაგში აფრიკელი ან გერმანელი ჩამოვა და მიწას იყიდის, ჩემს სოფლელებს დაასაქმებს, ამით კარგ საქმეს გააკეთებს“[4]

რესპოდენტის სახელი და გვარია გია ხევიაშვილი (ეროვნება უცნობია, როგორც ვიცით, ამ „უნიშვნელო დეტალის“ შესახებ პასპორტში არაფერია ნათქვამი) თანამდებობა: არც მეტი არც ნაკლები, პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე.

რა დავაშავეთ ხალხნო, ვინ დაგვწყევლა ასე სასტიკად. თავმჯდომარეთა სიას გადაავლეთ თვალი: როზა ლორთქიფანიძე, როინ ლიპარტელიანი, (სხვა სიკეთისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ამ კაცის ეროვნებას მაინც ამოიცნობს კაცი) ვანო მერაბიშვილი, გია ხევიაშვილი; როგორ ფიქრობთ, რომელიმე მათგანს, საკუთარ სოფელში მამასახლისად თუ აირჩევდა ხალხი?

ამოწერით კი ამოვწერეთ თავმჯდომარის „სიბრძნე“, მაგრამ დაზაფრული ვართ. არ ვიცით, რა მოვუხერხოთ ამ კაცის „რკინის“ ლოგიკას.

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ კოლაგელ ქიტესას რაღაო – მორცხვად მაინც იკითხავთ, ალბათ.

კოლაგელი ქიტესაო, გვმოძღვრავს კანონმდებელი, ზურგზე თოხს გაიდებს, ფეხშიშველი გაუდგება შარას, მხართეძოზე წამოწოლილი აფრიკელი თუ გერმანელი მემამულე დაუძახებს, მიწას გაათოხნინებს, ორიოდე გროშს აშოვნინებს და გადურჩება ქიტესა შიმშილით სიკვდილს.

ამაზე მეტი სიკეთე რაღა გინდა უმადურო და დაუნახავო ხალხო?! შევეშველებით პათოსში ხევიაშვილს, დღეს, როგორც ვხედავთ, იმითაც კმაყოფილი უნდა ვიყოთ, მიწის მუშად მაინც თუ აგვიყვანს უცხოელი ფერმერი.

წავიდა ის **ბედნიერი** დრო (ისეთი დღე დაგვიდგა ხაზგასმულ სიტყვას ბრჭყალებში არ ვსვამ), როცა დამპყრობი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არათუ თოხში, ფაქტურად მიწაშიც არ გვეცილებოდა. იპყრობდა ქვეყანას, მიწის მესაკუთრედ კვლავ ქართველ ფეოდალს, მემკვიდრეობით მფლობელად კი ქართველ გლეხს ტოვებდა. ქვეყანას ხარკს შეაწერდა და ამით მთავრდებოდა საქმე.

სწორედ ამიტომ უცხოელთა ბატონობის დროსაც კი ქართველ ფეოდალსა და გლეხს არასდროს დაუკარგავთ მიწის მესაკუთრის განცდა. სწორედ აქაა საძებნი მრავალსაუკუნოვან ბრძოლებში ქვეყნის გადარჩენის ყველაზე

დიდი საიდუმლო.

ქართველი კაცის ცნობიერებაში მამული (მამეული მიწა) და მამული (სამშობლო ქვეყანა) დაწყვილებული შინაარსის ცნებები იყო. მამული ქვეყანა სხვა არა იყო რა, თუ არა ცალკეული მამულების ერთობლიობა. შესაბამისად, სამშობლოს ანუ მამულის დაცვით, თითოეული მათგანი საკუთარ კერძო მამულსაც იცავდა, უფრო მეტიც სამშობლოს სიყვარულის რომანტიზმი მამისეულ მიწაზე გადიოდა, ამის საილუსტრაციოდ მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიყვანთ ქართული სინამდვილიდან.

1755 წელს მტრისაგან ალყაშემორტყმულ ყვარლის ციხის დამცველებს თოფისწამალი შემოელიათ. ალყის გარღვევა და მეციხოვნეთა მიშველება უეჭველ თავგანწირვას ნიშნავდა. საგონებელში ჩავარდნილმა მეფეებმა: თეიმურაზმა და ერეკლემ, „უბრძანეს ქართველთა და კახთა ერთობით, რომელი ინებებს და თავისის გულოვნებით წარვალს და შევალს ციხესა ყვარლისასა... გლეხს კაცს, კაცზე ოთხ თუმანს, <u>**ორ საკომლო მამულსა**</u> და სითარხნეს მივსცემთო“[5].

მოხალისეთა რაოდენობა მხოლოდ გლეხთაგან 208 კაცამდე ავიდა. თითოეულმა მათგანმა იცოდა, რომ შესაძლოა თვითონაც არ ენახათ შეპირებული მამული (უმრავლესობამ, ალბათ, ვერც ნახა, ზუსტი ცნობები არ გვაქვს), მაგრამ ასევე თითოეულმა მათგანმა ისიც იცოდა, რომ მის მიერ ხმლით ან სისხლით ნაშოვები მამული მემკვიდრეობით გადაეცემოდა მისივე შთამომავლობას. ნეტარ არიან მორწმუნენი! ბაგრატიონთა ყველა წყალობის სიგელი გაუქმებულია და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

ბაგრატიონთა უგვარო და უხანო „მემკვიდრეებმა“ დღეს გაცილებით „დიდი დამსახურების მამულიშვილებს“ მიაკვლიეს და მხოლოდ ისინი აქციეს წყალობის ღირსად.

გასაცემი მიწის უდიდესი და ყველაზე მსუყე ნაწილი შინაურობაში გაინაწილეს. ათასობით ჰექტარი მიწა ხელისუფლებასთან მიტმასნილ მედროვეებს გადაეცა იჯარა-გამოსყიდვის უფლებით. 2005 წლიდან დაიწყო ამ უფლების რეალიზება და დღესაც გრძელდება. ხელისუფლებამ მოწყალება გაიღო და ჯერ კიდევ გაუცემელი მიწების პრივატიზებაში გლეხობასაც მისცა მონაწილეობის უფლება, ცხადია, ღია აუქციონზე შესყიდვის ფორმით. იმ გლეხობას, რომელსაც თვით ხელისუფლების აღიარებით, არა თუ მიწის, 20 ლიტრი საწვავისა და ნახევარი ტომარა სასუქის ყიდვაც არ შეეძლო.

ეს თუ უფლებაა, ცინიზმი რაღაა?!

ეკონომიკური იძულება, იძულების ყველაზე მარტივი, ყველაზე ეფექტური, ყველაზე ვერაგული ფორმაა. მილიონამდე თუ მილიონზე მეტმა გლეხმა უხმაუროდ და ფეხაკრეფით დატოვა სამშობლო. საბოლოო შედეგის მიხედვით, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, შაჰ-აბაზი გარეკავს ქვეყნიდან ხალხს თუ შიმშილი.

რეფორმით ჩაფიქრებული ეკონომიკური ბუმი არ შედგა. სამაგიეროდ საშუალება მოგვეცა გამაოგნებელი დასკვნები გაგვეკეთებინა. გაირკვა, რომ ყოვლისშემძლე კერძო საკუთრება ავტომატურად ვერ ხსნის შიმშილის პრობლემას, რომ მიწა, კერძო იქნება იგი თუ საერთო, ხელის გაუნძრევლად მოსავალს არ იძლევა, რომ ეკონომიკური სტიმულირების ეს მეთოდი (პრივატიზება) აზრს კარგავს სათანადო მატერიალური უზრუნველყოფის გარეშე.

პირველ რეფორმატორთა გულუბრყვილო თუ მოჩვენებით პატრიოტიზმს საბოლოოდ დაუსვა წერტილი ახალი რეფორმის მამამ კახა ბენდუქიძემ. რეფორმატორმა ჩვეული პირდაპიროობითა და დახვეწილი ლექსიკით განაცხადა: ჩვენ არაფერში გვჭირდება სამი მილიონი ფერმერი. რაც მეტი გლეხი დატოვებს სოფელს მით უკეთესი. წავლენ დასაქმდებიან, საკუთარ თავსაც გამოკვებავენ და ოჯახსაც, მეგობარნათესავებსაც შეეხიდებიან და ბიუჯეტსაც. რაც მთავარია, თავიდან ავიცილებთ ყველაზე საშიშსა და სასტიკი ცარიელი ქვაბების რევოლუციას. გარდა ამისა, აგრარულ სფეროში ბევრი არაფერი გაგვეგება და უმჯობესი იქნება, ამ საქმეს თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი უცხოელები თუ მიხედავენ.

შემუშავდა გენიალურად მარტივი სქემა. უნდა შეიქმნას აბსოლუტურად შეუზღუდავი მიწის ბაზარი. მიწაში მარტო მიწა არ იგულისმება: ზესკნელ-ქვესკნელიც მასში შედის. მიწის ბაზრიდან მიღებული შემოსავალი დიდად გადააჭარბებს ყველა დანარჩენ შემოსავალს ერთად აღებულს. მოდი და გაუძელი ასეთ ცდუნებას, მით უფრო, როცა „ფულს სუნი არ ასდის“, არადა ყნოსვა რომ არ გვქონდეს დაკარგული, უფრო მყრალი სუნი რაიმეს ასდის?!

ბაზრის კანონების მიხედვით, წაუგებული თამაშია. გვჯერა, დარწმუნებულიც კი ვართ, რომ უახლოეს ისტორიულ მომავალში ეს ქვეყანა ამქვეყნიურ სამოთხედ იქცევა. ისიც ვიცით, რომ ყველა სიკეთე, გვინდა ეს ჩვენ თუ არა, თავისთავად, ტვინისა და ხელის გაუნძრევლადაც მოვა – <u>**ამ მადლიან მიწას უპატრონოდ და უბატონოდ არავინ დატოვებს.**</u> საფიქრალი და თავსატეხი მხოლოდ ისაა, ის სიკეთე ჩვენი იქნება თუ სხვისი და, რაც მთავარია, ჩვენ თუ ვიქნებით ჩვენ?

ხელისუფლება შეიცვალა. კურსი თუ შეიცვლება და თუ შეიცვლება როდის?

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაზეთი საქართველოს რესპუბლიკა 14.09.1991;
2. იქვე;
3. იქვე;
4. (საქართველოს რესპუბლიკა, 2005 №18 25 იანვარი);
5. საქართველოს ისტორიის ნაკვეები, ტომი III, 1978. გვ. 248

ЧАСТНАЯ СОБСТВЕННОСТЬ НА ЗЕМЛЮ (ТЕОРИЯ, ПРАКТИКА, ПЕРСПЕКТИВА)

Г. ДЗИДЗИГУРИ
профессор ГТУ

В работе критически рассмотрены различные варианты дефиниции частной собственности на землю.

В результате рассмотрения соответствующих материалов делается вывод, что частная собственность на землю не является абсолютной категорией и что разумное ограничение собственника земли со стороны государственной власти в современном цивилизованном обществе является распространенной практикой.